საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: ქ. თბილისში, სოფელი დიდი ლილო, ს.კ. 01.81.08.276.022 ორსართულიანი სასაწყობე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილი სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა

ქ.თბილისი, სოფელი დიდი ლილო, ს/კ.01.81.08.276.022. არსებულ მიწის ფართზე, ორსართულიანი სასაწყობე შენობის მშენებლობისათვის, შპს ,,მოდუსი''-ის დავალებით, ჩვენს მიერ 2025 წლის მარტში, შემოწმებული იქნა გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს, ქ.თბილისი, სოფელი დიდი ლილო, ს/კ.01.81.08.276.022. არსებულ მიწის ფართზე, ორსართულიანი სასაწყობე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა, საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს. ,,ნიუ პოინტ'' -ის მიერ 2025 წლის 17 იანვარი - 25 თებერვალს. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი თ. კვეტენაძე. მის მიერ მოხდა: საკვლევი ტერიტორიის ვიზუალური შესწავლა, დამუშავდა რაიონის შესახებ არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალა. ჩატარებულია საველე კვლევები, გრუნტის ლაბორატორიული კვლევები შესრულებულია სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის საინჟინრო გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის, საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ლაბორატორიაში, აკადემიური დოქტორის გ. ბალიაშვილის ხელმძღვანელობით.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 6 გვ;

2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ;
3. ჩასატარებელი კვლევის პროგრამა ..... 1 გვ;
4. გრუნტების კვლევის შედეგები ..... 5 გვ;
5. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 3 ფურც;
6. გეოლოგიური ჭრილი ..... 2 ფურც;
7. ფოტომასალა..... 44 ფოტო;
8. აეროფოტო .....1 ფურც;
9. ტოპოგეგმა სამთოგამონამუშევრების დატანით..... 1 ფურც.

პროექტი ითვალისწინებს მართკუთხა კონფიგურაციის, ორსართულიანი სასაწყობე შენობის მშენებლობას. ნაგებობა კარკასულია, ბლოკის ან აგურის შევსებით. საძირკვლის სავარაუდო ტიპი: ლენტური ან წერტილოვანი. შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – მეოთხე.

სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის, მისი გეოლოგიური ჭრილებისა და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, საკვლევ უბანზე გაყვანილია 3 შურფი , თითოეული 6 მ, საერთო სიღრმით 18 გრძ/მ. აღებული იქნა გრუნტის ნიმუში, ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად. საველე, ფონდური და ლაბორატორიული მასალების განზოგადოების საფუძველზე, სამშენებლო მოედნის ფარგლებში გამოიყო შემდეგი ფენები:

1. ფენა № 1 - ნიადაგის ფენა, გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე მიწის ზედაპირიდან 0,20-0,25 მ-ის ფარგლებში;
2. ფენა № 2 - სგე I - თიხნარი, ნახევრად მყარი, მოყავისფრო;

შურფებში გრუნტის წყალი არ გამოვლენილა.

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

- სიმკვრივე ρ=2,06გ/სმ^3;

- შინაგანი ხახუნის კუთხე φ =25,0^0;
- კუთრი შეჭიდულობა C = 0,395 კგძ/სმ^2
- დრეკადობის მოდული E=279 კგძ/სმ^2
- პირობითი საანგარიშო წინაღობა Ro=290^{კპა} (2.90კგZ/სმ^2);
- განივი დეფორმაციის (პუასონის) კოეფიციენტი v = 0.35;

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება, მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები.

საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება 8-ბალიან სეისმურ რაიონს, ამგები გრუნტები, სეისმური თვისებებიდან გამომდინარე, განეკუთვნებიან II კატეგორიას, ამდენად უბნის სეისმურობად მიღებულია 8 ბალი. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0,17.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სამშენებლო რაიონი მიეკუთვნება I მარტივი სირთულის კატეგორიას. საკვლევ უბანზე რაიმე ტიპის გეოდინამიკური (ფიზიკურ-გეოლოგიური) მოვლენა, ან პროცესი არ ფიქსირდება. საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მშენებლობასა და ნაგებობის შემდგომ ექსპლუატაციას, მოსალოდნელი არ არის. გარემოს ეროვნული სააგენტოს, გეოლოგიური დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ “ქ. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების შეფასების ანგარიში”-ის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მოქცეულია დაბალი გეოლოგიური საფრთხის ზონაში. ტერიტორიის შემოწმებისას დადგინდა, რომ რაიმე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები არ შეინიშნება. ტერიტორია მდგრადია და მომავალშიც არ არსებობს რაიმე წინაპირობა არსებული მდგრადობის დასარღვევად.

დასკვნა

შესწავლილ იქნა ქ.თბილისი, სოფელი დიდი ლილო, ს/კ.01.81.08.276.022. არსებულ მიწის ფართზე, ორსართულიანი სასაწყობე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური ანგარიშის დოკუმენტაცია. შესრულებული სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. დასასრულს ავღნიშნავთ რომ, წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა
და საინჟინრო გეოლოგიის მაგისტრი:

/ნინო პაპიაშვილი/

Nino Papiashvili 01013012106
Digitally signed by Nino Papiashvili
Date: 2025.03.03 20:52:49

CV - პაპიაშვილი ნინო

გვარი, სახელი, მამის სახელი	პაპიაშვილი ნინო შამილის ასული
მისამართი	ქ.თბილისი, დიდი დიღომი, პეტრიწის 11, ბინა 35
ტელეფონის ნომერი	557702020
ელექტრონული მისამართი	nino@geoexpert.live
დაბადების თარიღი	1981 წლის 10 მაისი
განათლება	1998 წელს დავამთავრე ქ.თბილისში ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების სკოლა-კოლეჯი ნინო
	2002 წელს დავამთავრე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო-გეოლოგიის სპეციალობით
მინიჭებული კვალიფიკაცია	2005 წელს მომენიჭა გეოლოგიის მაგისტრის ხარისხი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	2004 -2010 წლებში შპს. ჯეოინჟინირინგი (საინჟინრო კვლევა-ძიება, დაპროექტება, მშენებლობა) საკონსულტაციო და საექსპერტო სამუშაოები, ლაბორატორიული ნიმუშების შემოწმება და გეოლოგიური სამუშაოების რევიზია. 2012-2019 წლებში ვმუშაობდი შპს. ,,ნიუ პოინტ" მოწვეული ექსპერტი საინჟინრო-გეოლოგიის დარგში. 2020 წლიდან დღემდე დამოუკიდებელი ექსპერტი საინჟინრო-გეოლოგიის მიმართულებით.
გამოქვეყნებული ნაშრომები	2009 წლიდა ვმუშაობდი დისერტაციაზე, სადოქტორო თემა იყო ,, თბილისის ტერიტორიაზე სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობის და ექსპლუატაციის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ანალიზი". ვაწარმოებდი კვლევებს. მეცნიერება და ტექნოლოგიები- ურბანიზებულ ცენტრებში ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციის საინჟინრო-ჰიდროგეოლოგიური პირობები. 2007წ. ნავთობის საბადოების ძებნის დროს მიწისქვეშა წყლების მიკროკომპონენტების გეოქიმიურ კრიტერიუმად გამოყენების პირობები. 2007წ. მეცნიერება და ტექნოლოგიები-თბილისის ტერიტორიაზე ერთ-ერთი მსხვილი ობიექტის UPTOWN TBILISI-ის მშენებლობის საინჟინრო-ჰიდროგეოლოგიური პირობები. 2011წ. სამთო ჟურნალი- ,,ნადიკვარის,, უბანზე მშენებლობის საინჟინრო-ჰოდროგეოლოგიური პირობების დახასიათებ. 2011წ.
უცხო ენა	ქართული-მშობლიური; რუსული-საშუალოდ; ინგლისური-საშუალოდ;

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № [illegible]

This is to certify that Mr./Mrs. Nino Papiashvili in the year 2005 completed a Master's course of the Georgian Technical University majoring in Hydrogeology and Engineering Geology

By resolution of the State Examination Board, dated February 25, 2005 Mrs Nino Papiashvili is awarded the Master's degree in Geological Engineering

Rector [signature]

Chairman of the State Examination Board [signature]

Seal

Dean [signature]

City Tbilisi 17. 06. 2005

Registration No 1653 Secretary [signature]

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ № [illegible]

მიენიჭა ნინო პაპიაშვილს

მასზედ, რომ მან 2005 წელს დაამთავრა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

მაგისტრატურა სპეციალობით ჰიდროგეოლოგია

და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2005 წლის

25 02 გადაწყვეტილებით ნინო

პაპიაშვილს მიენიჭა

გეოლოგიის მაგისტრის ხარისხი

რექტორი [signature]

სახელმწიფო საგამოცდო

კომისიის თავმჯდომარე [signature]

ბ.ა.

დეკანი [signature]

ქალაქი თბილისი 17. 06. 2005 წ.

სარეგისტრაციო № 1653 მდივანი [signature]



IDENTITY CARD

GEO

საქართველოს მოქალაქის პირადობა

სახელი / FIRST NAME
ნინო
NINO

გვარი / LAST NAME
პაპიაშვილი
PAPIASHVILI

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მდ / F	01013012106

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
10.05.1981	13.04.2031

ბარათის No / CARD No
20IA16092

ხელმოწერა SIGNATURE



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
13.04.2021

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სრს; დამგმზადებელი: MB-IDS 2019
სმს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE020IA16092001013012106<<<<
8105107F3104138GE0<<<<<<<<<<<5
PAPIASHVILI<<NINO<<<<<<<<<<<<<